ორი ათასიც და მეტიც

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 24 ივლისი.

“დინამო’ (თბილისი) – “ჟალგირისი” (ვილნიუსი) 2:0.

“დინამო”: ბალაძე, მიქაბერიძე, ჩივაძე, უკლება, ბარათაშვილი, კაკილაშვილი, სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი, ჟვანია, ჟორდანია.

“ჟალგირისი”: იურკუსი, ტურსკისი, ბარანაუსკასი, ბუზმაკოვი, რასიუკასი, მაჟეიკისი, დანისიავიჩუსი, მაცკიავიჩუსი, იაკუბაუსკასი, ტამულიავიჩუსი, იანონისი.

70–ე წთ. შენგელია, 87–ე წთ. შენგელია.

ჟორდანიას ნაცვლად – შენგელია, მიქაბერიძის ნაცვლად გოგრიჭიანი, ბარანაუსკასის ნაცვლად – პანკრატიევი, ტამულიავიჩუსის ნაცვლად – გარბეკოვასი.

მსაჯი: იური სერგიენკო (ხარკოვი).

გააფრთხილეს იანონისი.

კარში დარტყმა – 23:13 (7:6), ზუსტი დარტყმა – 10:7 (3:4), საჯარიმო მოედნიდან – 13:1 (4:0).

კუთხური – 7:5 (3:1).

დაჯარიმდნენ: თბილისელები – 7 (6), ვილნიუსელები – 8 (5).

მატჩის ორივე გოლი საიუბილეო გამოდგა – შენგელიამ ჯერ თბილისის “დინამოს” გოლები გაზარდა ორიათასამდე, მერე არც საკუთარი თავი დაივიწყა და ასამდე დაამრგვალა ჩემპიონატებში გატანილი ბურთების რიცხვი. თუმცა ყველაზე უფრო სასიამოვნო მაინც დინამოელთა გამარჯვება იყო საკმაოდ წარუმატებელი თამაშების შემდეგ.

თამაში ნელ ტემპში დაიწყო და ასეც გაგრძელდა მატჩის მთელი 70 წუთის განმავლობაში. მეტოქეთაგან მარტო თბილისის “დინამო” იყო, გამარჯვებისთვის რომ უნდა ეზრუნა, ლიტველებს ამის სურვილი არც გამოუმჟღავნებიათ და, ეტყობა, კმაყოფილნიც დარჩებოდნენ ქულის მოპოვებით. რა თქმა უნდა, თბილისელთა მიერ შეთავაზებული ტემპი სრულებითაც არ იყო საკმარისი მიზნის მისაღწევად, მაგრამ ერთიც არის: კომბინაციების სიუხვეს, სწრაფ თამაშს ზუსტი პასი ასაზრდოებს. აი, ამ კომპონენტში მასპინძლები იმდენს სცოდავდნენ, რომ თამაშის აწყობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო.

მე–5 წუთზე გათამაშებულ გუცაევი–ჟვანიას კომბინაციას სტუმრებმა ორი შეტევითა და იაკუბაუსკასისა და რასიუკასის დარტყმებით უპასუხეს.

ამის შემდეგ ბურთი თითქოს დამძიმდა და მინდვრის შუაგულიდან ფეხის მოცვლა აღარ უნდოდა. მატჩი ასე უინტერესოდ მეორე ტაიმის მე–15 წუთამდე გაგრძელდა, იმ მომენტამდე, როცა სტუმრებმა თბილისელთა კარის ძელს მოახვედრეს ბურთი. 5 წუთის შემდეგ მაცკიავიჩუსის დარტყმა ისევ ძელმა აისხლიტა და მასპინძლებიც გამოფხიზლდნენ – საკუთარ მინდორზე დამარცხებამდე ერთი ნაბიჯიღა იყო.

მალე კაკილაშვილს მიეცა თავის გამოჩენის შესაძლებლობა, წუთის შემდეგ კი გუცაევის კუთხურს შენგელიამ ოსტატურად დაუსვა წერტილი – 1:0. “ჟალგირისის” კართან ერთი–მეორის მიყოლებით იქმნებოდა საგოლე სიტუაციები, ერთი მათგანი შეხვედრის 87–ე წუთზე კარგად გამოიყენეს მასპინძლებმა: საკუთარ საჯარიმო მოედანთან ახლოს ხელით ითამაშეს სტუმრებმა. გუცაევის პასის შემდეგ ჯერ ჟვანიამ

დაარტყა კარისკენ, შემდეგ მეკარის მოგერიებულ ბურთს შენგელია მისწვდა პირველი, ბურთი ძელს მოხვდა, მერე ერთ–ერთ მცველს და კარში შეგორდა.

ორი ბურთის სხვაობით მოგებული თამაშის შემდეგ ცოტა არ იყოს, ძნელია, საყვედური დაგცდეს გამარჯვებული გუნდის მისამართით. ძნელია მაგრამ ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, რომ საჭიროა.

“დინამომ” თამაშისთვის განკუთვნილი 90 წუთიდან ფაქტიურად მხოლოდ ბოლო 20 წუთი ითამაშა ისე, კარგ გუნდს რომ ეკადრება. დანარჩენი 70 წუთიდან მაყურებელს ძნელად თუ დაახსომდებოდა ასე თუ ისე რიგიანი კომბინაცია.

გამარჯვება, რა თქმა უნდა, გვესაჭიროებოდა – ქულა ქულას დაემატება და გასამხნევებლადაც წაადგება გუნდს, მაგრამ თამაში რომელიც “დინამომ” უჩვენა საკუთარ გულშემატკივარს, ჯერჯერობით ვერ იძლევა ოპტიმიზმის საფუძველს.

ირაკლი ბერიაშვილი.
“ლელო”, 25 ივლისი, 1984 წ.